



რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის პატრიარქ ნეოფიტეს აღსაყდრების 10-წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.26.2023. 24 თებერვალს ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბულგარეთის უწმიდესი პატრიარქის ნეოფიტეს საწინამძღვრო მსახურების დაწყებიდან მეათე წლისთავი აღნიშნა. ამ დღეს, ბულგარეთის დედაქალაქში, დიდმონაშენ დედის ნედელიას (კვირიაკიას) საკათედრო ტაძარში საზეიმო ლიტურგია აღევლინა, რომელსაც სოფიის სამიტროპოლიტოს ვიკარი, ბელოგრადჩიმის ეპისკოპოსი პოლიკარპე წარუძღვა სასულიერო დასის თანამსახურებით.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან საზეიმო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა ბულგარეთის პატრიარქთან არქიმანდრიტმა ვასიანემ (ზმეევმა) და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობის მდივანმა სოფიაში

დეკანოზმა ევგენი პაველჩუკმა. რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა სტავროფორული ეკონომოსი ნელუც ოპრია. ბულგარეთის უნმიდესი პატრიარქის ნეოფიტეს სანინამძღვრო მსახურების 10-წლისთავის საპატივცემულო ზეიმზე სოფიის სამიტროპოლიტოს მრავალი სასულიერო პირი შეიკრიბა.

როგორც სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობა **იუნყება** იუნყება, საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, ეპისკოპოსმა პოლიკარპემ სამადლობელი პარაკლისი აღავლინა. სადიაკონო წესმა მრავალჯამიერი უგალობა უნმიდეს პატრიარქ ნეოფიტეს.

საკათედრო ტაძრის ცენტრში მორწმუნეთა თაყვანსაცემად გამობრძანებულ იქნა წმინდა მონამე ნეოფიტეს წმინდა ნემტის ნაწილაკი.